ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

L.SAKVARELIDZE NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

Legal Entity of Public Law

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
დასკვნა

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანაგრიშზე

დამგეგმავი ორგანო: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინსფრასტრუქტურის სამინისტრო
შემსრულებელი საკონსულტაციო ორგანიზაცია: შპს "ბაუ დიზაინი"
სგშ-ს მომზადებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია: შპს გის და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი ,,გეოგრაფიკი"
სგშ-ს დასკვნისთვის შემუშავდა რეკომენდაციები შემდგომი კომპონენტების მიხედვით:
წარმოდგენილი გეგმარებითი ალტერნატივები
დოკუმენტში წარმოდგენილია 4 გეგმარებითი ალტერნატივა, რომელიც გაანალიზებულია განაშენიანების რეგულირების გეგმისთვის და გეგმარებითი ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატივებთან ერთად განხილულია ნულოვანი ალტერნატივაც (გეგმარების გარეშე).
შედარებითი ანალიზის საფუძველზე, უპირატესობა მინიჭებული აქვს ალტერნატივა 3-ს, რაც სწორია, რადგან იგი ყველაზე სრულად პასუხობს დასმულ მიზნებს და ამოცანებს. სწორედ ეს ალტერნატივა უნდა დაედოს საფუძვლად გუდაურის მაღლობების გეგმარებით სტრუქტურას. გუდაურის მაღლობების დასახლების გეგმარებითი სტრუქტურა და სივრცითი მოწყობა, რომელიც წარმოდგენილია განაშენიანების რეგულირების გეგმაში, მაქსიმალურად უზრუნველყოფს დამსვენებელთა, მოთხილამურეთა მოთხოვნებს და შესაბამისად მესაკუთრეთა ინტერესებს და ინვესტორთა ხარჯების ყაირათიან გაღებას. ამავე დროს ჰარმონიზებულია სახელმწიფოს მოთხოვნებთან სივრცითი მოწყობის, სამართლებრივი და იურიდიული ასპექტები და გარემოსდაცვითი საკითხები. ზემოაღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება საკმარისი რწმუნებით ითქვას, გუდაურის მაღლობების განაშენიანების რეგულირების გეგმის ეფექტურობის თაობაზე.

ფიზიკური აქტივობა, უბედური შემთხვევები და ტრავმები

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის სრულყოფილად აღწერილი გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განვითარების ჩარჩოში, როგორ მოხდება ტრანსპორტის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირება.
ბუნდოვანია ასევე პუნქტი 6 გვერდი 183 გეგმარებით არეალში:
პუნქტი 6. რეგულარული ფიზიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა გეგმარებით არეალში. დასაზუსტებელია ზემოაღნიშნული ინფორმაცია.
კარგადაა ცნობილი საავტომობილო ტრანსპორტის ნეგატიური ზეგავლენა (ჰაერის, ნიადაგის, წყლის დაბინძურება, ხმაური, გზებზე უსაფრთხოება და ტრავმები, და სხვა). საქართველოში, სხეულის დაზიანება სიკვდილის რიგით მეოთხე მიზეზს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია, აგრეთვე ის გარემოება, რომ გუდაური წარმოადგენს სათხილამურო კურორტს და უპირატესობა უნდა მივანიჭოთ უსაფრთხო გადაადგილებას, განსაკუთრებით ფეხით სიარულს, სნოუბორდით და თხილამურებით სრიალს, საზოგადოებრივ ტრანსპორტს; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ამ საშუალებათა შეხამების, როგორც დაგეგმვის, ძირითადი ამოცანის სახით განხილვას.

წარმოდგენილი დოკუმენტი, თავი 7.4. ბუნებრივი საფრთხეები - ზვავები, გვაძლევს ინფორმაციას თოვლ-ზვავებთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა მსხვეპლი. იდენტიფიცირებულია ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ციცაბო ფერდობები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზვავის ჩამოწოლა, რაც საფრთხეს შეუქმნის აღნიშნული ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებს.
შესაბამისად, წარმოდგენილია კვლევა, რომელიც ეხება თოვლ-ზვავებთან დაკავშირებულ საკითხებს, ზვავების ადგილების იდენტიფიცირებას, შეფასებას და ზემოქმედების ზონების განსაზღვრას „გუდაურის მაღლობების" საპროექტო არეალისა და მიმდებარე ტერიტორიისთვის. საპროექტო ტერიტორია მოცემულია გამოსახულება 2-ზე, ზუსტი პერიმეტრებით: სიმაღლე ზღვის დონიდან - 2220-2380 მეტრს შორის, გარშემორტყმულია ტერიტორია **გვერდი 73** საცნობარო სცენარები და RAMMS პროგრამული უზრუნველყოფა . ამ კვლევის მიზანია, სანდო მონაცემებისა და მტკიცებულებების გარეშე, განისაზღვროს თოვლის ზვავების პოტენციური საფრთხე საკვლევი არეალისთვის. ამისათვის და აგრეთვე ურბანული განვითარებასთან დაკავშირებული შეკითხვების საპასუხოდ, ზვავების განმეორების 100 წლიანი პერიოდის სცენარი მიჩნეულია ეტალონად და სავარაუდოა ასევე, ბუნებრივი ზვავებიც.
შესაბამისად, ,,თეთრ" - უსაფრთხო ზონებში და ,,ლურჯ"- ლიმიტირებული რისკის შემცველ ზონებში განხორციელდეს მშენებლობები, მაგრამ გარკვეული რეკომენდაციის გათვალისიწინებით. (,,ლურჯ"- ლიმიტირებული რისკის შემცველ

ზონებში შესაძლებელია, იშვიათად, მაგრამ საჭირო გახდეს ხალხის ევაკუაცია ან დამცავი/ამრიდი ნაგებობის მოწყობა, შესაბამისად, მაქსიმალური თანმიმდევრობით უნდა იქნეს გაწერილი რეკომენდაციები).

,,წითელი"- მაღალი რისკის შემცველ ზონებში ნებისმიერი სახის საცხოვრებელი შენობის მშენებლობა აკრძალულია, რასაც ვეთანხმებით. უნდა მოხდეს არსებული შენობების ან კონსტრუქციების, როგორიცაა საბაგიროს ანძები, ანალიზი და/ან მუდმივად უნდა ხდებოდეს მათი გამაგრება, განახლება ან დაცვა. (რეკომენდაციები უნდა გაიწეროს მაქსიმალურად სულფასოვნად, რაც მოითხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის და შენობის აგებას, რაც დატანილ უნდა იქნეს რუქაზე).

<u>ავტოტრანსპორტის სადგომი</u>

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის მოცემული, თუ როგორია ტურისტთა და ერთი დღით ჩამომსვლელ მოთხილამურეთა ავტოტრანსპორტის ავტოსადგომების მდებარეობა, არსებული ან/და შემოთავაზებული საბაგირო გზების მიმდებარედ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წლის ნებისმიერი სეზონის განმავლობაში როგორ არის საკითხი რეგულირებული.

<u>სასმელი წყლის ხარისხი, წყალმომარაგება, სანიტარია და წყალარინება</u>

წარმოდგენილი დოკუმენტის პუნქტში 7.7.5. წყლის ხარისხი, სტანდარტული მახასიათებლები-წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელი გრგ-ით შემოთავაზებულია „გუდაურის მაღლობებისთვის", რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის უწყვეტი მომარაგებით.

შემდეგ არავითარი ინფორმაცია აღარ არის მოწოდებული სად მოხდება წყალაღება, რამდენად საკმარისი იქნება ის ტერიტორიის განვითარებისათვის. ეს საკითხი წარმოადგენს პროექტის შემდეგ ეტაპზე განსახილველ საკითხს, მაგრამ სად განთავსდება ძირითადი ინფრასტრუქტურა დატანილი უნდა იყოს შესაბამის ნახაზებში და ტერიტორია გათვალისწინებული/შეტანილი იქნეს გრგ-ში. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის უმეტესი ნაწილი კერძო საკუთრებაშია და შესაბამისად ეს საკითხი უფრო მეტ დატვირთვას მიიღებს განხილვის შემდეგ ეტაპებზე.

ასევე, მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა მოცემული გვერდი 182 ბ. ოპერირების ეტაპი- ოპერირების ეტაპზე უკვე განსაზღვრული უნდა იყოს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სტრატეგიული საკითხები (რომელიც ტერიტორიის საკმაო დიდ არეალს მოითხოვს განსათავსებლად), როგორიცაა:

1. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", რომელიც ახორციელებს გუდაურის რეკრეაციული ტერიტორიისთვის წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურებას (წყლის მოპოვება, დამუშავება და მიწოდება

აბონენტებისათვის) უნდა გააჩნდეს გუდაურისთვის სასმელი წყლით მომარაგების და ნარჩენი წყლების გაწმენდისთვის სან-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა, რათა კურორტს არ შეექმნას ოპერირების ეტაპზე პრობლემები წყალმომარაგებასა თუ წყალარინების საკითხებთან მიმართებაში. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩამდინარე წყლების მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდა და გაუსნებოვნება, რაც 85-90%-ით იცავს წყლის ობიექტს დაბინძურებისგან. გაწმენდა წინაპირობებს ქმნის საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გაუსნებოვნებისთვის, რის შედეგადაც მიიღწევა მისი ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოება. ამას განაპირობებს:

- ჩამდინარე სითხისგან შეწონილი მინერალური და ორგანული ნივთიერებების მოცილება (მექანიკური გაწმენდა);
- გახსნილი და კოლოიდური ორგანული ნივთიერებების მოცილება (ბიოლოგიური გაწმენდა);
- პათოგენური მიკროფლორის მოცილება (გაუსნებოვნება);
- გამწმენდი ნაგებობის ნალექის გაუსნებოვნება და უტილიზაცია.

აღნიშნულია, რომ საჭირო და მიწოდებული საყოფაცხოვრებო წყლის რაოდენობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გაიზარდება მოთხოვნა წყლის რესურსებზე. გარდა ამისა, გაიზრდება მოთხოვნა სასმელ წყალზე, ახალი დასახლებული ადგილის (თუნდაც საკურორტო ადგილის) გაჩენით. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს წყლის რესურსებზე გაზრდილ მოთხოვნასა და შესაბამისად გარემოზე მზარდ ზეწოლაზე. როგორც დოკუმენტშია მითითებული წყალაღების ადგილის შერჩევის შემდეგ მნიშვნელოვანია შემუშავდეს და დამტკიცდეს სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონები.

აღნიშნულია გამწმენდი ნაგებობების აგება და მოხდება მდინარეების დაცვა დაბინძურებული საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით. გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის დაგეგმვა და გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები არ არის დადგენილი. აუცილებელია შეირჩეს ყველაზე რელევანტური ღონისძიებები წყალმომარაგებისა და სანიტარიის გასაუმჯობესებლად გრძელვადიან პერსპექტივაში. არ არის აღნიშნული საკურორტო ადგილზე ტუალეტებით უზრუნველყოფა, ასევე ნარჩენი წყლების შეგროვება და მათი გამწმენდ ნაგებობამდე მიყვანა(მხედვლობაში გვავქს შესაბამისი ინფრასტრუქტურა).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დეტალურად იქნას აღწერილი განვითარების/განაშენიანების კონტროლის მექანიზმები, რადგანაც წინა წლებში დაშვებული განაშენიანების გამო ახლომდებარე ტერიტორიებზე, კერძო სახლები არ არის უზრუნველყოფილი ჩამდინარე წყლების მოცილებისა და უწყვეტი სასმელი წყალმომარაგების სისტემით.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების გეგმის სგშ-ს ანგარიშში, ჰაერის ხარისხის შესახებ მონაცემები არ არის, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების დეტალური ანალიზის განხორციელებისათვის არ არის გაანალიზებული რა ტიპის საწვავი გამოიყენება შინამეურნეობებში საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით, რადგანაც საქართველოში მაღალია შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი და ერთ-ერთ უმთავრეს რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისა და ქალებისათვის.

ზემოაშნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის გაზმომარაგების ინფრასტრუქტურის განვითარება/დაგეგმვისას. რაც დამატებით ინფრასტრუქტურის განთავსებას და ტერიტორიას მოითხოვს განაშენიანების ფარგლებში. ამასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული პრინციპების ამოქმედება, როგორც შენობის შიგნით, ასევე - გარეთ თამბაქოსაგან თავისუფალი ადგილების შექმნის შესახებ.

საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების შესაძლო ზემოქმედების შესაფასებლად, მიზანშეწონილია დაიგეგმოს სამომავლოდ ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი და ანგარიშში აისახოს გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემები შემდეგ დამაბინძურებლებზე: (მყარი ნაწილაკები - PM10, PM2.5, აზოტის ჟანგეულები, მიწისპირა ოზონი, გოგირდის დიოქსიდი). ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მწვანე ქალაქის "და ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში.

ხმაური

პროექტში აღნიშნულია, რომ ხმაურის და ვიბრაციის წარმოქმნა შესაძლებელია განაშენიანების შედეგად გაჩნდეს დასახლებულ ტერიტორიაზე, რაც შესაბამისად წარმოადგენს ხმაურის წარმოქმნის წყაროს. ხმაურის მაღალი ინტენსივობის წარმოქმნა, აგრეთვე დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან. ხმაურის და ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სატრანსპორტო გზის ოპტიმალურად დაგეგმვა.

ხმაურის დონის შესწავლის შემდეგ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე არასასურველი გავლენის შემცირებისათვის უნდა დაიგეგმოს ან გამოყენებულ იქნას:

- ხმაურის წყაროს საინჟინრო-ტექნიკური და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ღონისძიებები;
- ხმაურისაგან დაცვის ობიექტზე შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და გეგმარებითი მეთოდები.

ხელმისაწვდომობა სამედიცინო დაწესებულებებზე

სგშ-ის ანგარიშის პროექტში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მხოლოდ დაბა სტეფანწმინდაშია აფთიაქები და არის ერთი მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი. კვალიფიციური კადრის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გამო სოფლის ექიმის და მედდის მომსახურება ძალიან სუსტია და უმრავლეს შემთხვევაში, მოსახლეობა თბილისში იღებს სამედიცინო მომსახურებას. აქვე აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების შემდეგ სამედიცინო ობიექტებზე ხელმისაწვდომობის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგება და ამდენად, მათი არსებობა სამომავლოდ გასათვალისწინებელია.

მნიშვნელოვანია, არის თუ არა კონკრეტული სახის გეგმა, განაშენიანების ფარგლებში, როგორ შეიძლება მოგვარდეს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემა, ვინაიდან აღნიშნული საკითხი ეხება რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს, მათ შორის: დღევანდელი კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, და ასევე, ტურისტული სეზონის გააქტიურების პერიოდში ტერიტორიაზე თავმოყრილი დამსვენებლებისათვის საჭიროების შემთხვევაში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

შშმპ ადაპტირებული გარემო

წარმოდგენილ ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მონაცემები ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვისაა და გუდაურისთვის ცალკე არ არსებობს. მით უფრო, საკვლევ ტერიტორიაზე მისი განაშენიანების შემთხვევაში არსებული მონაცემების პროგნოზირება შეუძლებელია.

გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში შშმ პირების ინტერესები, ინკლუზიური მიდგომები გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით და აუცილებელია, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობისას გათვალისწინებულ იქნას შშმ პირების ინტერესები და უსაფრთხოება.

ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე

წარმოდგენილი ინფორმაცია შეეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობას, რომელიც შესაბამისი მონაცემები ცალკე გუდაურისთვის არ არსებობს.

მნიშვნელოვანია, აღნიშნული სახის მონაცემები განისაზღროს ცალკე გუდაურისთვის, ვინაიდან განაშენიანების შემდეგ არ იქნას შეზღუდული საჭიროების შემთხვევაში სასკოლო განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობა, აუცილებლად იქნას გათვალისწინებული სპორტული მომზადების საწვრთნელი ბაზების მშენებლობა განაშენიანების ფარგლებში.

ნარჩენების წარმოქმნა და მათი მართვა

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნასა და მის მართვასთან დაკავშირებით, უნდა გაიმიჯნოს ორი ეტაპი - მშენებლობის და ოპერირების ეტაპები.

ა) მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა (სამშენებლო, სახიფათო, ინერტული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩათვლით, ასევე თხევადი ნარჩენები) - წარმოდგენილ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში (სგშ) მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ინერტული და სამშენებლო ნარჩენების გენერირება, რომლის მართვაც განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის" მოთხოვნებების შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტში არ არის სათანადოდ გათვალისწინებული ცენტრის მიერ სკოპინგის ეტაპზე გაცემული რეკომენდაციები უფრო კონკრეტული ინფორმაციის და გათვლების მოწოდების შესახებ, კერძოდ: რა მოცულობის მიწის სამუშაოები ჩატარდება მშენებლობის ეტაპზე, რა ოდენობის სამშენებლო მასალა და შესაბამისად, რა რაოდენობის და ტიპის ნარჩენების წარმოქმნა არის მოსალოდნელი; არ არის მოწოდებული მკაფიო ინფრომაცია სად და როგორ მოეწყობა დროებითი განთავსების ადგილები, როგორ და რა სიხშირით მოხდება მათი გატანა და გადაყრა; არ არის მოწოდებული ინფრომაცია ნარჩენების მართვის სრული ციკლის შესახებ.

ინერტული და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში არ არის მოწოდებული კონკრეტული ინფორმაცია მათი მართვის შესახებ - როგორ მოეწყობა დროებითი განთავსების ადგილები უსაფრთხოების თვალსაზრისით, როგორ გადანაწილდება პასუხისმგებლობა მათი მართვის (ტრანსპორტირების/გატანის) შესახებ, რომელი კომპანიები განახორციელებენ ამ ტიპის ნარჩენების მართვას და სხვ. ბუნდოვნად არის მოცემული ინფრომაცია მშენებლობის ეტაპზე ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების შესახებ.

დოკუმენტი კვლავ არ ითვალისწინებს თხევადი ნარჩენების (მ.შ. სახიფათო თხევადი ნარჩენების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოქმნისა და მათი მართვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციას მშენებლობის ეტაპზე.

ბ) გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიების ოპერირების პერიოდში, ტურისტული ნაკადების ზრდის ფონზე, სხვადასხვა ტიპის ნარჩენების (მათ შორის, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სხვა ტიპის ნარჩენები) წარმოქმნა და მათი მართვა

აღნიშნული სგშ-ს შეფასების ანგარიშში კვლავ ზოგადია ინფორმაცია პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ. დოკუმენტის შესაბამისად, გაზრდილი ურბანული ტიპის მშენებლობები გამოიწვევს, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენების ზრდას, თხევადი (მ.შ. საკანალიზაციო) ნარჩენების წარმოქმნას. აღნიშნული საჭიროებს კარგად ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენების კარგი პრაქტიკა (სეპარირების, გატანის და განთავსების ჩათვლით), ასევე ნარჩენი წყლების და სანიტარული კვანძების მართვას გამწმენდი ნაგებობების საშუალებით. სგშ-ს ანგარიშში კვლავ არ არის მოცემული მკაფიო ინფორმაცია:

- მყარი ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობების შესახებ. რაც თავის მხრივ მოიცავს ნარჩენების სპეციალური კონტეინერების საკმრისი ოდენობის გათვლებს, მათი განთავსების ადგილების მონახაზს, ნარჩენების გატანის/ტრანსპორტირების და საბოლოო განთავსების საკითხებს.

სგშ ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელების ეტაპზე იგეგმება დაბა გუდაურის წყალარინების სისტემის გაუმჯობესება საკანალიზაციო კოლექტორისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობით, რაც დაბა გუდაურის საკურორტო პოტენციალის ოპერირებას მნიშვნელოვან პოზიტიურ ელფერს შესძენს. თუმცა მნიშვნელოვანია, ამ ტიპის ინფრასტრუქტურის დამატების შემდეგ, გაძლიერდეს სანიტარიული ზედამხედველობა და არაგვის წყლის ხარისხის მონიტორინგი ნახმარი წყლების ჩადინების გამო და ასევე, იმ ხეობის სანიტარიული ზედამხედველობა, რომელშიც მე-5 კოლექტორიდან შეკრებილი ნახმარი წყლების ჩაშვება იგეგმება.

სამედიცინო მომსახურების ობიექტების (ამბულატორია, სამედიცინო კაბინეტი, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და აფთიაქები) მშენებლობის შემთხვევაში, აუცილებელია ნარჩენების მართვის გეგმაში გათვალისწინებულ იქნას სამედიცინო ნარჩენების მართვისთვის დამახიასიათებელი სპეციფიკურობა.

<u>რადიაციული ფონი და რადიოაქტიური ობიექტების არსებობა</u>

აღნიშნულ სგშ ანგარიშში მკაფიოდ არის მოცემული ინფორმაცია ბუნებრივი რადიაციული ფონის და მისგან ექსპოზირების არასახიფათოობის შესახებ. „ბუნებრივი რადიაციული ფონის მონიტორინგი ხორციელდება საქართველოს 15 დასახლებულ პუნქტში, მათ შორის 14 ქალაქსა და დაბა ფასანაურში. მონიტორინგის შედეგად, არც ერთ დასახლებულ პუნქტში არ დაფიქსირებულა მომატებული რადიაციული ფონი “, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ადამიანსა და გარემოს (გვ. 98-99).

თუმცა დოკუმენტში კვლავ არ არის მოცემული ინფრომაცია მაღალი ძაბვის და ელექტრო-მაგნიტური გამოსხივების მქონე ფიჭური კავშირგაბმულობის სადგურებიდან განაშენბიანების ტერიტორიებიდან მანძილის შესახებ და არ არის შეფასებული მისი ზემოქმედების რისკის ალბათობა მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციის შემდეგ.

დასკვნა:

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანაგრიშში სათანადოდ არ არის შეფასებული ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ძირითადი რისკ-ფაქტორები და არ არის საკმარისი ინფორმაცია მოძიებული.

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანაგრიში შეთანხმდება რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ.

პატივისცემით,

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

გენერალური დირექტორი **ამირან გამყრელიძე**